

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

## ოქმი N 10

ქ.ვანი თავისუფლების N65

10 ოქტომბერი 2019 წელი

13 : 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გიგა გოგიბერიძე, გია ხარაბაძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი, შოთა გიორგაძე, გია ოჩხიკიძე, პაატა ხურციძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** დავით ხარმეიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, სანდრო ხურციძე, მალხაზ ცერცვაძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

### **მოწვეული პირი:**

*ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 14.5 კვმ, 32.5 კვმ 14.3 კვმ ფართების ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხს: ზვიად კაპანაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 1040 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.17.24.136) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე“.

მომხს: ზვიად კაპანაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული, ქ.ვანში, სოლომონ მეორის ქუჩაზე მდებარე 112 კვმ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.29. 376) განთავსებულ მგზავრთა მოსაცდელში არსებული 1.5 კვმ ჯიხურის ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ზვიად კაპანაძე

4.ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუქედის N01 ქუჩისთვის გურამ იობიძის სახელი მინიჭების შესახებ ინიციატივის განხილვა.

მომხს: ივანე კორძაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის N12 ქუჩისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივის განხილვა.

მომხს: გიორგი ივანიაძე

6.ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის N11 ქუჩისთვის ლადო სულაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივის განხილვა.

მომხს: გიორგი ივანიაძე

7.ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის N17 ქუჩისთვის გიორგი ნაფეტვარიძის სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივის განხილვა.

მომხს: გიორგი ივანიაძე

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

#### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 14.5 კვმ, 32.5 კვმ 14.3 კვმ ფართების ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

კომისიის მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა

დანართი:N2

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

#### **დაადგინეს:**

მიეცეს თანხმობა დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხს, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 1040 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.17.24.136) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე“.

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს.

დანართი: N3

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

კომისიის მხრიდან მოწონებული იქნა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული, ქ.ვანში, სოლომონ მეორის ქუჩაზე მდებარე 112 კვმ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 31.01.29. 376) განთავსებულ მგზავრთა მოსაცდელში არსებული 1.5 კვმ ჯიხურის ელექტრონული აუქციონის ფორმით, იჯარით, 5 წლის ვადით გასხვისებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

დანართი:N4

კომისიის მხრიდან მოწონებული იქნა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

წარმოდგენილი საკითხი მზადაა ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 საკითხებთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი ინიციატივა სახელდების მინიჭების თაობაზე, კერძოდ:

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ მუქედის N01 ქუჩისთვის გურამ იობიძის სახელი მინიჭების შესახებ ინიციატივის განხილვა.

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის N12 ქუჩისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივის განხილვა.

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის N11 ქუჩისთვის ლადო სულაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივის განხილვა.

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთის N17 ქუჩისთვის გიორგი ნაფეტვარიძის სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივის განხილვა.

კომისიამ ცნობის სახით მიიღო წარმოდგენილი ინიციატივა, რომელიც მოითხოვს დამატებით დოკუმენტაციის მოძიებას, კერძოდ: მოსახდებობასთან შეხვედრის ოქმს და კომისიის შესაბამის ოქმს.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაგზავნილი იქნება სახელდების კომისიაში განსახილვევლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**გიგა გოგიბერიძე**

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე